საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990120410737022

№17/3141 **20 / დეკემბერი / 2022 წ.**

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
პირდაპირი მიყიდვისა და სასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის
სამსახურის უფროსს, ლაშა დვალიშვილს

ბატონო ლაშა,

თქვენი 08.09.2022 წლის N6/50692 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ენისელში მდებარე 6854 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N57.08.51.000.520) განკარგვის საკითხზე სააგენტოს პოზიციის წარდგენას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის - გრემის ნაქალაქარის ფიზიკური დაცვის არეალში და შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი შემდეგი სამართლებრივი რეჟიმი:

ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის: ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას; ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა; გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას; დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვას გასცემს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ენისელში მდებარე 6854 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N57.08.51.000.520) განკარგვისა, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. მხოლოდ კატეგორიის (სახნავი) ცვლიბების გარეშე. ამასთან, დაცული უნდა იყოს "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული რეჟიმი. ხოლო უძრავი ქონების შემდგომში განვითარების, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, საჭიროა ნებისმიერი ქმედება შეთანხმდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

პაატა გაფრინდაშვილი